სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 24

2012 წლის 3 მარტი

ქ. თბილისი

,, 2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2012 წლის 5 აპრილის №14 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. ,,2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2012 წლის 5 აპრილის №14 ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ის (,,2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობები") მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 პუნქტი:

,,7^1. მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა ოფიციალურად დარეგისტრირდება, ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ რეზერვისტთა შემადგენლობაში მე-12 კლასელ რეზერვისტებს ჩაენაცვლება რეიტინგული სიის მომდევნო უმცროსკლასელები(არამეთორმეტე კლასელი)."

2. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს - თამარ გორგოძეს წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

კარლო ლაფერაძე

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი